ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №141

2015 წლის 25 დეკემბერი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2015-2016 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. მარინა ქორიძის მოხსენებითი ბარათის (MES 2 15 01343213, 25.12.2015) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2015-2016 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად:

ა) 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2015 წლის 21 დეკემბერს და დამთავრდეს 2016 წლის 12 მარტს;

ბ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2016 წლის 14 მარტიდან 23 მარტის ჩათვლით;

გ) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2016 წლის 4 აპრილიდან 9 აპრილის ჩათვლით;

დ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2016 წლის 11 აპრილს და დამთავრდეს 2016 წლის 1 ივლისს;

ე) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2016 წლის 4 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით;

ვ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2016 წლის 26 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით;

ზ) სალექციო-სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს:

- 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში ყოველდღე გარდა კვირისა;

თ) აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი - 10 წუთით.

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ასევე ბსუ–ს ვებ–გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**